წერილის ნომერი: **30-302320238**
თარიღი: **21/07/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (ს/ნ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა, (კანცელარიის N 10-302316617-30 15.06.2023 წელი) რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გადაცემულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013) აქვს მრავლობითი დაზიანება, მისი შეკეთება საჭიროებს დიდ თანხას, რისი საშუალებაც ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (ს/კ 233730763) არ გააჩნია. მენეჯერმა მის მიერ მოყვანილი გარემოების გამო, მოითხოვა აღნიშნული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302319233**
თარიღი: **11/07/2023**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის

სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N 31 განკარგულების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 აპრილის N ბ 30.302311810 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“(ს/კ 233730763) გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება კერძოდ: ავტომობილი RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი- 2013).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 15 ივნისის N 110 განცხადებით (კანცელარიის N 10-302316617-30 15.06.2023 წელი) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“(ს/კ 233730763) მენეჯერმა ნატო მენაღარიშვილმა, რომელშიც ის აღნიშნავს რომ ავტომობილ RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი- 2013), აღმოაჩნდა მრავლობითი დაზიანება და მისი შეკეთებას ესაჭიროება დიდ თანხა, რისი საშუალებაც ა(ა)იპ „ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“(ს/კ 233730763) არ გააჩნია და მოითხოვს აღნიშნული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებას.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულების გაუქმების პროექტის მომზადება.

პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

საქართველო
ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

georgia
LANCHKHUTI
PUBLIC HEALTH CENTRE

ლანჩხუთი, ჟორდანიას 126
tel: 599 15-86-67;

126 Jordania, Lanchkhuti
Tel: 599 15-86-67;

№ 110

15 ივნისი 2023წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წლის 25 აპრილის №35 განკარგულების და თქვენი ა/წლის 28 აპრილის №ბ30.30222311810 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადმოგვეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ ავტომანქანა RENAUT DUSTER (სახელმწიფო ნომერი BB309 BP) .

აღნიშნული ავტომანქანა აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული, მრავლობითი ხარვეზებით, შემოწმებული იქნა რამდენიმე ავტოშემკეთებელ სახელოსნოში, მ/შორის სატელეფონო კონსულტაცია გავიარეთ თვით რენოს ცენტრალურ ოფისში. აღმოჩნდა, რომ შეკეთება მოითხოვს ისეთ დიდ თანხას, რისი გადახდის საშუალებაც ჯანდაცვის ცენტრს არ გააჩნია.

გთხოვთ, აღნიშნული ავტომანქანა დაიბრუნოთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

პატივისცემით,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის

მენეჯერი: /ნ.მენაღარიშვილი/

ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
GEORGIA LANCHKHUTI PUBLIC HEALTH CENTER OF CARE
233730763

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2023 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

,, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N31 განკარგულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

განკარგულება:**g-31. 31231155**
თარიღი:**25/04/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №31

2023 წლის 25 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს" (ს/ნ 233730763) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ30. 302311810**
თარიღი:**28/04/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის ,,დ.ა“ და ,,დ.გ“ ქვეპუნქტების, 61–ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N 31 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (ს/ნ 233730763) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ RENAULT DUSTER (რეგისტრაციის ნომერი BB-309-BP ვინ კოდი VF1HSRC8N48679798 გამოშვების წელი - 2013).

2. დაევალოს მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს ზემოაღნიშნული ქონების გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში,

მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.N14 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი